გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892



გაზეთი „ივერია“ მარტის პირველიდამ წლის დამლევამდე ღირს 8 მან. 75 კაპ.


ნიკოლოოზ და მიხეილ ერეკლეს ძენი ციციშვილნი, ბარბარე ვასილის ასული ამირაღოვისა, ნატალია იაგორის ასული ოქოევისა, ნინო იაგორის ასული ლისინოვისა და ეკატერინე იაგორის ასული შადინაროვისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა: პირველი მეუღლისა თვისისასა, მეორე—რძლისასა, მესამე—შვილისასა დ დანარჩენნი—დისა თვისისა, ანნა იაგორის ასულის კნეინა ციციშვილისასა, და სთხოვენ მობრძანდნენ ქ. გორში ამა მარტის 21-სა, შაბათს, დილის ცხრა საათზედ, გასასვენებლად გვამისა ლისინოვის სადგომიდგან წმიდა ღვთის-მშობლის ეკკლესიაში. (2—41—1)


ქართული თეატრი

დღეს, ოთხშაბათს, 18 მარტს,

ქ-ნთ საფაროვისა, ძნელაძისა, ბ-ნთ აბაშიძესი, ივერიელისა და საოპერო ქალთა და კაცთა ხოროს მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება

მეორედ:

ნატვრის თვალი

კომიკური ოპერა 3 მოქ., მუსიკა ოდრანისა, თარგ. ა. ახნაზაროვის მიერ.

მოთამაშენი: ქ-ნნი საფაროვისა, ძნელაძისა; ბ-ნნი აბაშიძე, ივერიელი, გედევანიშვილი, შათირიშვილი, დოდაშვილი, ავალიანი და სხ.

დირიჟორი ბ-ნი ფალიაშვილი.

რეჟისორი ბ-ნი ვ. აბაშიძე

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზედ.


## ახალი ამბავი

*** ამას წინად ჩვენ გვქონდა მოხსენებული, რომ სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს სამეურნეო და სასოფლო მრეწველობის დეპარტამენტი აპირებს დააარსოს ყარაიაზში ბამბის მოყვანის გამოსაცდელი სადგური, რომლისათვისაც წინაპირველად მინისტრის რწმუნებულმა კავკასიაში ითხოვა 2,000 მან. ეს ფული გადადებულ იქმნა და ამ ჟამად უკვე შეუდგნენ ყარაიაზში მიწის შემუშავებასა და ბამბის თესვას. გამოსაცდელის პრანტაციისათვის 10 დესეტინა სახელმწიფო სარწყავი მიწაა მიზომილი.

*** ქალაქის გამგეობას შარშან ჰქონდა მთელის წლის შემოსავალი 739.691 მ. და 42 კ., ხოლო ხარჯი გაუღია 660.707 მ. და 92 კ., მაგრამ ჯერ მთლიანად არ გაუსტუმრებია ყველა შარშანდელი მოვალე. სხვათა შორის, მისაცემი აქვს ხაზინაში 79.900 მანეთი პოლიციის შესანახ ხარჯისა. ქალაქის თვით-მმართველობას გამოანგარიშებული ჰქონდა წარსულის წლის დეფიციტი 40.901 მანეთად, მაგრამ, როგორც ეხლა ეტყობა, ეს დეფიციტი ნაკლები უნდა დადგეს, ხოლო ეს მაშინ გამოჩნდება, როდესაც მოვალეთა სიას გაათავებს ქალაქის გამგეობა.

*** სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ ქართულ წიგნების მბეჭდავ ამხანაგობის სტამბას იმდენი საქმე ასჩენია, რომ ორი მბეჭდავი მაშინა ველარ ასვლია მათს შესრულებას და ამიტომ ამხანაგობას განზრახვა აქვს შეიძინოს მსწრაფლ-მბეჭდავი მაშინა და ამასთანავე აპირობს გამოწერას მაშინისას სტამბის ჩარხების დასატრიალებლად.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ იმავ ამხანაგობას უკვე დაუწყია ბეჭდვა „ჩანგისა“. ამ სახელით შარშან დაიბეჭდა კარგა მოზრდილი წიგნი, შედგენილი ჩვენის ნიჭიერ არტისტის ბ-ნ ვ. აბაშიძის მიერ. წელსაც ამავ არტისტს შეუდგენია «ჩანგი», რომელიც ბევრად მოზრდილი და შინაარსიანი, ვიდრე მისი შარშანდელი სეხნია.

*** ორი ახალგაზდა არტისტი ქალი, მომღერალი სემიონოვისა (ალექსანდროვა-კოჩეტოვას მოწაფე) და პიანინოს დამკვრელი ქ-ნი მაგნიცკაია ნაალდგომევს ამიერ-კავკასიაში ჩამოვლენ და რამდენსამე კონცერტს გაჰმართავენ ტფილისსა, ქუთაისსა და ბაქოში.

*** პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორს ნ. მარრს განზრახვა აქვს ამ ზაფხულს ერევნის გუბერნიაში წავიდეს და ანის ქალაქის ნანგრევები დაათვალიეროს.

*** ორშაბათს, 16 მარტს, დილის 11 საათზედ, მიხეილის ქუჩაზედ ცეცხლი წაეკიდა ზეტცერის სადურგლოს. ცეცხლის მქრობელმა რაზმმა ცეცხლი მალე ჩააქრო.

*** ოთხშაბათს, 18 მარტს, „ტფილისის კრუჟოკში“ მკურნალი ა. ხ. გრიგორიევი წაიკითხავს ლექციას: „გადამდები ავადმყოფობა და დეზინფექცია“.

*** კვირას, 15-ს ამ თთვეს მცხეთის სადგურში ლაპარაკი მოსვლიათ. ეს ლაპარაკი გადაქცეულა ჩხუბად, რომელიც იმით გათავებულა, რომ ხანჯლებიც უხმარიათ და რამდენიმე დაჭრილიც არის. სხვათა შორის დაჭრილა ერთი ქალი, რომელიც გასაშველებლად ჩარეულა, და ერთი კონდუქტორი.

*** ამას წინად გვქონდა მოხსენებული, რომ ვითომ „დედა-ენა“ და „ბუნების კარი“ ამ ჟამად მთლად ყოფილიყოს გაყიდული. ნამდვილად-კი უკანასკნელად გამოცემული „დედა-ენა“ ჯერ-ჯერობით იმდენია კიდევ, რომ ენკენისთვემდე საკმარისია, ხოლო „ბუნების კარი“—აგვისტომდე. ორივე წიგნი ამ ზაფხულს დაიბეჭდება ხელ-ახლად და შეუცვლელად. მხოლოდ „დედა-ენას“ ჩაემატება თავში სახატავები და ბოლოში—დედანი, ასე რომ ამ წიგნის ხმარების დროს ცალკე დედანის ყიდვა სრულიად აღარ მოუნდებათ ყმაწვილებს. რაც შეეხება მეორე საკითხავ წიგნის ბეჭდვას ამ ზაფხულშივე, უნდა ვსთქვათ, რომ, როგორც თვით ბ-ნ იაკობ გოგებაშვილისაგან შევიტყეთ, ეს ცნობა ჯერ ადრეულია.

*** კავკასიის სამკურნალო უწყების გამგემ მოსთხოვა საგუბერნიო მკურნალს, მაცნობეთ, რა მიზეზია, რომ უკანასკნელს დროს ხუნაგი მძვინვარებს ტფილისში, ან რა საშუალება უნდა ვიხმაროთ, რომ ეს გადამდები ავადმყოფობა მოვსპოთო. საგუბერნიო მკურნალმა ბ-ნმა ზელინსკიმ მოახსენა: «ხუნაგი ახალი ავადმყოფობა არ არის ტფილისში და ამ 1892 წელს სხვა წლებზედ მომეტებულად არ არის გავრცელებულიო. სტატისტიკურ ცნობებიდგანა სჩანს, რომ 1889 წელს ტფილისში ხუნაგისაგან გარდაცვლილა იანვარსა და თებერვალში—13 კაცი, 1890 წლის იმავე თთვეებში—12, 1891 წელს—14 და 1892 წელს—12 კაცი. ამ ცნობებიდგანა სჩანს, რომ წელს ხუნაგი-კი არ გაძლიერებულა ტფილისში, პირ-იქით, შესუსტებულა. რაც შეეხება ხუნაგთან ბრძოლის საშუალებას, თუმცა მე მგონია, რომ საჭიროება არ მოითხოვს განსაკუთრებულს ღონისძიებას მივმართოთ, მაგრამ მაინც ამ დღეებში მკურნალთა კრებას მოვახდენ ხუნაგის მოსასპობ ღონისძიების მისაღებადაო.

*** გუშინ ჩვენს გაზეთში იყო მოხსენებული, რომ თევდორე პოლიკარპოვმა თავისს სახლში თავი ჩამოირჩოო. პოლიკარპოვი დიდი ხანია, რაც ტფილისის სასამართლოს პალატის გამმიჯვნელ საკრებულოში მსახურობდა. ამ უკანასკნელს დროს პოლიკარპოვი ხშირად ბედს ემდუროდა, სმას მიჰყო ხელი და სამსახურში აღარ დადიოდა. კვირას, 15 მარტს, პოლიკარპოვმა შინ ჩაი დალია, მერე დუქანში წავიდა და იქიდგან შუადღისას მთვრალი დაბრუნდა. $12^1/_2$ საათზედ პოლიკარპოვი სახლიდგან გამოვიდა და აღარ დაბრუნებულა. ცოლმა ძებნა დაუწყო და სარდაფში იპოვნა ჩამომრჩვალი. დამრჩვალის გვამი მიხეილის სამკურნალოს საანატომიო თეატრში გაჰგზავნეს.

*** 16 მარტს მანგლისის მცხოვრებელი ვილაც ალექსი მტკვარზედ ბანაობდა, ბნედამ მოუარა, მტკვარში გადავარდა და დაირჩო. დამრჩვალის გვამი საანოტომიო თეატრში გაჰგზავნეს.

### ქალაქის საბჭო

16 მარტი

წარსულს ორშაბათს ხმოსანმა შაჰაზიზოვმა აუწყა საბჭოს, რომ იარმუკის ერთს ფურნეში ვნახე, რომ ცხენი უბიათ სწორედ იმ ალაგას, საცა ცომსა ჰზელავენო, და ითხოვა, მიაქციეთ ჯეროვანი ყურად-

## ფელეტონი

### ჩვენი მთის ხალხი

სახბიბლიოგრაფიო წერილი

თხზულებანი ალექსანდრე ყაზბეგისა. სამი ტომი. ტფილისი, 1891 წ.

I

ვისაც ჩვენის ღარიბ მწერლობისათვის თვალ-ყური უდევნებია, შეჰნიშნავდა, რომ ამ უკანასკნელ ათის წლის განმავლობაში ჩვენს თვალწინ დაიბადა, ფეხი აიდგა, გაიზარდა და საკმარისადაც გაძლიერდა ქართულს ლიტერატურაში ერთი შესამჩნევი და ახალი მიმართულება, რომელიც ბევრს დიდადა სწამს და მიაჩნია, ხოლო რომელსაც ბევრნი ჯერ კიდევ ეჭვის თვალით უცქერიან და თუ რამ მნიშვნელობას აძლევენ, ისიც დროებითს და წარმავალს. ეს მიმართულება გახლავთ კვლევა-შესწავლა ჩვენის მთის ხალხისა, იმის ზნე-ჩვეულებისა, ადათებისა, რწმენისა, იდეალებისა, პოეზიისა. მეორე მხარეცა აქვს ამ მიმართულებას, ე. ი. თვით ამ ხალხის ცხოვრება შეუქმნიათ ჩვენს პოეტებსა და ბელეტრისტებს საგნად თავიანთის ნიჭის ვარჯიშობისა. აღფრთოვანებულნი მოხუც რაფიელ ერისთავის ტკბილ სახალხო ლექსებით, ახალგაზდა მკვლევარნი და პოეტნი თავ-გამოდებით ჩაჰკირკიტებენ მთას, დასწაფებიან წმინდა ნაკადულს მისს ყოფა-ცხოვრებისას და უხვად გვაწვდიან ნაყოფს თავიანთის მოღვაწეობისას. თვით მთაც იმდენად მდიდარი, ბარაქიანი და მრავალ-გვაროვანი აღმოჩნდა, რომ ეტყობა ჯერ კიდევ ბევრს ნიჭიერს და ტალანტის პატრონს მსურველს მიაწვდის სახელის მოსახვეჭად სატრფიალო საგანს პოეზიისას, გინა მეცნიერებისას. განსაკუთრებული თვისება და შესანიშნავი ხასიათი ამ მოღვაწეთა ის არის, რომ საკაცობრიო მაღალ იდეალებისა და გრძნობების ნიშან-წყალს ჰპოულობენ დაბალ ხალხის აგებულებაში, საქვეყნო აზრებს გაატარებენ ხოლმე ხალხის გულში და მერე ჩამოჰკრავენ ტკბილს სიმებს ამავ ხალხის გულისას და ააჟღერებენ ისე, რომ არც ჭეშმარიტებას უბრუნებენ ზურგს, არც სულის ვითარების სინამდვილესა ჰლალატობენ და თვით უმაღლესი აზრი და გრძნობა დაწინაურებულის კაცისაც თითქოს უფრო ლაზათიანი, მარტივი დ მიმზიდავი გამოდის გულ-უბრყვილო და გაუნათლებელის ადამიანის პირიდგან.

**

აგერ დიდად ნიჭიერი ბელეტრისტი ალექსანდრე ყაზბეგი, რომლის თხზულებათა სამი წიგნი ხელთა გვაქვს და სიამოვნებითა ვსტკბებით, თუმცაკი ეს სიამოვნება ჩვენთვის მოხიბლულია იმ საშინელის უბედურებით, რომელიც ჩვენდა სამგლოვიაროდ თავს დაატყდა ამ ჯერ კიდევ ახალგაზდა მწერალს. აგერ ბ-ნი თავისუფალი სვანი, რომლის გამოკვლევა-აღწერანი არ მოაწყენს მკითხველს თავსა და არ შეასუსტებენ მის ყურადღებას. აგერ გვირგვინი ამ ახალის მიმართულებისა, ბ-ნი ვაჟა-ფშაველა, რომელიც, საუბედუროდ, ჯერ კარგად ვერ ესმის ბევრსა და რომლის დაუშრეტელი პოეზია დღითი-დღე მატულობს, უფრო და უფრო ღრმად იხედება მთის ხალხის გულში და იქიდგან ამოეზიდება ძვირფასს განძს სულისას და უძვირფასესს განძს გრძნობისას. ამ განძს შეუძლიან მოაწონებინოს თავი ყოველ შეგნებულს ქართველს. დაუმატეთ ამათ ბ-ნი ბაჩანა, რომელიც მთელის თავისს ახალგაზდა დ საამურის ნიჭით შესტრფის მთასა კლდიანსა, და დამეთანხმებით, რომ ეს ახალი მიმდინარეობა ჩვენის მწერლობისა, ეს ახალი და ნორჩი მისი შტო ისეთი ღონიერი და მძლავრი რამ არის, რომ მისი უყურადღებოდ დატოვება არას გზით არ მოხერხდება.

**

უწინარეს ყოვლისა საჭიროა გავიგოთ, რა თვისების განძი უნახავთ

ლება ასეთს უწესოებასაო. გამგეობის წევრს ხოსროევს და ბაზრის ზედამხედველს გამოეძიათ საქმე და საბჭოს მოახსენეს: ფურნე ისე პატარაა, რომ ადამიანებიც ვერ ეტევიან, და ცხენს როგორ დააბამენ შიგაო.

ხმ. შაჰაზიზოვი. საქმის გამოძიება იმ ბაზრის ზედამხედველს მიანდეთ, რომელსაც მე ვუჩივლე, რომ ყურადღებას არ აქცევს თავისს მოვალეობასა-მეთქი. მე დაგიმტკიცებთ, რომ ხმოსანი შაჰაზიზოვი თავისს დღეში ტყუილს არ ამბობს.

ხმ. ზუბალოვის წინადადებით საბჭომ გამგეობას მიანდო დაწვრილებით გამოძიება ამ საქმისა.

ქალაქის მოურავმა სთხოვა საბჭოს, ამოირჩიეთ ერთი ხმოსანი წევრად იმ კომისიისა, რომელმაც უნდა დააფასოს ქალაქის მამულები ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურ «ტფილისის» გასაგანიერებლადაო. საბჭომ შეიწყნარა ქალაქის მოურავის წინადადება და წევრად იქმნა ამორჩეული ა. თ. ფრიდონოვი.

რამდენისამე წვრილმანის საქმის განხილვის შემდეგ საბჭომ მოისმინა მოხსენება გამგეობისა იმის შესახებ, თუ რა გზით ჰყონ უზრუნველ ქალაქი წყლით. გამგეობამ ითხოვა 500 მან. ციციანოვის აღმართზე წყაროების შესაკრებად, რომ იმით ირწყოდეს რიყის ქუჩა.

ხმ. შაჰაზიზოვი: განა მტკვრის წყალი ქუჩების სარწყავადაც აღარ ვარგა?

პასუხი მისცა ქალაქის ინჟინერმა ენფიანჯიანცმა. მტკვრიდგან წყლის ზიდვა ბოჩკებით ბევრს დროსა თხოულობს, ეს ერთი, და მეორეც ისა, რომ წყაროების მოგროვებით მცარეცდადაც არის ავიცილებთ თავიდგან იმ შიშს, რომელიც მოელის მგზავრს ციციანოვის აღმართზედაო. საბჭომ შეიწყნარა გამგეობის თხოვნა და გადასდო 500 მ. წყაროების შესაკრებად.

ხანგრძლივი ბაასი და კამათობა გამოიწვია გამგეობის წინადადებამ, გადასდეთ 15,000 მ. ქალაქის მილის წყლის შესაერთებლად ყორღანოვისასთანაო.

ხმ. მაქლაძე: ჯერაც ვერ გამიგია, რაში მივეცით ბ-ნს ყორღანოვს 275,000 მ. რეზერვუარი, მაშინის მოსაწყობი ისევ ყორღანოვისაა. გამოდის, რომ ამდენი ფული გადაგვიყრია მარტო იმისთვის, რომ ბ-ნ ყორღანოვის მილებით ვისარგებლოთ და მის აბონენტებს ჩვენი წყალი მივაწოდოთ. ეს კიდევ არაფერი. წელიწადში ქალაქი აძლევს ყორღანოვს 22,000 მ. და ეხლა კიდევ გვთხოვენ, თხუთმეტი ათასი მანათი გადასდეთ მის გასაუმჯობესებლადაო. აგვიხსენით რიგიანად, რაში გჭირდებათ ამდენი ფული, რომ სრულის შეგნებით ან უარი გითხრათ ასეთს თხოვნაზედ და ან მოგცეთ ნათხოვნი ფული.

ხმ. ზუბალოვი. ამდენი ფული დავხარჯეთ, იმისთვის-კი არა, რომ შეგვეძინა ყორღანოვის მილის წყალი, არამედ იმისთვის, რომ გაგვეუქმებინა. ყორღანოვისეულს მილებში ვადენთ ჩვენის მილის წყალს, მაშინები და რეზერვუარი ისევ ყორღანოვისაა. ასეთის საქციელით წინანდელმა გამგეობამ აუარებელი ზარალი მოუტანა ქალ. ს. ეს საქციელი გამგეობისა ჩვენთვის თავიდგან აუცდენელი ბოროტია და სხვა არაფერი. ხმოსანი ვეისანგოფი გვეუბნებოდა, სყიდვა არ არის საჭირო, უფულოდაც ჩვენ დაგვრჩება ყორღანოვის მილებიო. ბოროტია მაშ რა არის, პირში გივარდებოდეს რამე და შენკი ხელი ჰკრა.

ხმ. კანნულოვი. ქალაქის თვითმმართველობას არ ეკადრებოდა ფეხი დაგვეჭირა მაშინ, როცა გაჭირვებული კაცი იყო ჩვენს წინაშე.

ძაღლის თავიც მანდა ჰმარხიაო, გაისმა აქეთ-იქიდგან.

ქალაქის ინჟინერმა დაწვრილებით განმარტა საჭიროება 15,000 მანათისა ქალაქის მილის წყლის შეერთებისათვის ყორღანოვისასთან. დაფაზედაც დაჰხატა, თუ რა ნაირად მოხდება ასეთი შეერთება. იმის ანგარიშით, წელიწადში ორას თუმნამდე სარგებლობას მოუტანს ქალაქის დახლს შეერთება ორივ მილის წყლებისა.

საბჭომ ხმის უმეტესობით შეიწყნარა გამგეობის წინადადება.

კრება გათავდა თერთმეტის ნახევარზედ.

◆◆

### საეპარქიო მთავრობის განკარგულებანი

#### სოხუმის ეპარქიაში:

ხელ-დასხმულ იქმნა: მღვდლად ხელ-დასხმულ იქმნა ილორის წმ. გიორგის ეკკლესიის მედავითნე ე ვ თ ი მ ე  გ ა ჩ ე ჩ ი ლ ა ძ ე და სოხუმის ოლქის სოფ. ოხურეისის ახლად აგებულს ეკკლესიაში დაინიშნა.

დ ა ნ ი შ ნ უ ლ  ი ქ მ ნ ა: ახალ-ათონის სიმონ კანანელის მონასტრის მღვდელ-მონაზონი ს ა ბ ა  დრანდის ღვთის მშობლის მიძინების მონასტრის წინამძღვრის თანამდებობის აღმასრულებლად.

#### გურია-სამეგრელოს ეპარქიაში.

მღვდელი ბ ე ს ა რ ი ო ნ  ბ ა რ ა მ ი ძ ე გადაყვანილ იქმნა ჭინათის ეკკლესიაში, გარდაცვალებულ მღვდელ გიორგი კომახიძეს ადგილას.

აბასთუმნის ეკკლესიის მღვდელი დავით ოსიძე გადაყვანილ იქმნა ბეციხვაიას ეკკლესიაში, გარდაცვალებულ მღვდელ პორფირე ოსიძეს ადგილას. აბასთუმნის ეკკლესიაში დაინიშნა დავითიანის ეკკლესიის მღვდელი დ ი ო ნ ო ს ე  კ უ ტ ა ლ ი ა; დავითიანის ეკკლესიაში—ლაკარჭის ეკკლესიის მღვდელი დ ი ო ნ ო ს ე  ქ ვ ა რ ა ც ხ ე ლ ი ა; ლაკარჭის ეკკლესიაში მღვდლად ხელ-დასხმულ იქმნა მუხურის ეკკლესიის მთავარი ა ნ ტ ო ნ  ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, ხოლო მუხურის ეკკლესიის მედავითნედ დაინიშნა მღვდლის შვილი ს ო ფ რ ო ნ  ხ ო ბ ე ლ ი შ ვ ი ლ ი.

ლესიჭის ეკკლესიის მთავარი ე ს ტ ა ტ ე  ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე ხელ-დასხმულ იქმნა მღვდლად და დაინიშნა ოჩხომურის მაცხოვრის ეკკლესიის მღვდლად, გარდაცვალებულ მღვდელ დავით ხოროვას ადგილას; ლესიჭის ეკკლესიაში მედავითნეს თანამდებობაზედ გადაყვანილ იქმნა ოჩხომურის ეკკლესიის მედავითნე რ ო მ ა ნ ო ზ  ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, ხოლო ამ უკანასკნელის ადგილზედ-კი დაინიშნა ა ნ დ რ ი ა  ე ლ ი ზ ბ ა რ ი ს  ძ ე  ჯ ა ი ა ნ ი.

სამეგრელოს უგანათლებულესს თავადთა ზუგდიდის კარის ეკკლესიის მედავითნე ა ვ ქ ს ე ნ ტ ი  ჭ ა ნ ტ უ რ ი ა  გადაყვანილ იქმნა ცაიშის ტაძარში გარდაცვალებულ მედავითნე ტიმოთე გეგეჭკორის ადგილას, ხოლო ზუგდიდის ეკკლესიაში-კი დაინიშნა მღვდლის შვილი სოლომონ გ ე თ ი ა.

მედავითნენი ხეთის მთავარ-ანგელოზისა და აბასთუმნის წმ. თევდორე და ტირონელის ეკკლესიისანი ზ ო ს ი მ ე  კ ო დ უ ა  და ს პ ი რ ი დ ო ნ  გ ვ ა ლ ი ა გადაყვანილ იქმნენ ერთი მეორეს ადგილზედ.

ჯიხეთის ეკკლესიის მღვდლის თავისუფალს ადგილზედ დაინიშნა მღვდელი ო ქ რ ო პ ი რ ე  ბ ზ ა კ ა ლ ა ვ ა.

ჯურუყვეთის ეკკლესიის მღვდელი მაქსიმე კვაჭაძე მოხუცებულობის გამო დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან და იმის ადგილას დაინიშნა სემინარიის სტუდენტი ი ს ი დ ო რ ე  რ ა მ ი შ ვ ი ლ ი.

◆◆

### ორიოდე სიტყვა ჩვენის ინტელიგენციის შესახებ

(ხმა პროვინციიდგან)

აწინდელს დროში ერის განათლება, წარმატება და აღყვავება, თუ მთლად არა, მომეტებულად მაინც დამოკიდებულია საზოგადოების იმ დასზედ, რომელსაც ინტელიგენცია ანუ განათლებულთა დასი ეწოდება. უწინ იქმნება სულ სხვა იყო, მაგრამ ეხლა-კი, სხვა-და-სხვა ისტორიულ მიზეზის გამო, ცხოვრებამ ფერი იცვალა და მეთაურობა ინტელიგენციას დაუთმო, იმ ინტელიგენციას, რომელიც თავისს ძალ ღონეს იკრებს სხვა-და-სხვა წოდებისა და მდგომარეობის კაცთაგან. ეხლა, თუ რომლისამე ერის ინტელიგენცია მრავალია რიცხვით, საღია გონება-ზნეობით, იმ ერს ეკუთვნის უპირატესობა და პირველობა და ბედნიერია ასეთი ერი, რადგან მისია აწმყოსთან მომავალიც...

ინტელიგენციას ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს, ხოლო თუ ასეთი მისი საზოგადო მნიშვნელობა ისე აშკარად არა სჩანს, იმის ეჭვში მაინც ხომ ვერავინ ვერ შევა, რომ სწავლა-განათლების გავრცელებისა და აღყვავებისათვის საზოგადოდ და მწერლობის აღორძინებისათვის საკუთრივ იმისი მნიშვნელობა დიდზედ უდიდესია. მართლაც, ვინ უნდა ემსახურებოდეს საქმეს სწავლა-განათლებისას, ვინ უნდა ულოლიავებდეს და ჰზრდიდეს ამ ნაზს მცენარეს, თუ არა ისევ ის დასი საზოგადოებისა, რომელიც თითონ ატარებს სწავლულისა და განათლებულის სახელს? ვინ უნდა ედგეს დედა-ბოძად მწერლობას, ვინ უნდა ჰკვებავდეს და ზრდიდეს,—ერთის სიტყვით,—ჰქმნიდეს იმას, თუ არ ის ნაწილი საზოგადოებისა, რომელიც თვითვე აღზრდილა მწერლობით და წიგნის კითხვითა?

საინტელექტო საქმეში სხვას, არა ინტელიგენტს, არც მაგდენის სარგებლის მოტანა შეუძლიან. ჩვენ ამ დღეებში შემთხვევით ჩაგვივარდა ხელში ერთი წერილი „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამგეობისა, ერთს თავის აგენტთან მინაწერი, რომლითაც თავისს აგენტს სთხოვდა გამგეობა გადახდევინებას და აღებას საწევრო ფულისას იმათგან, რომელთაც არ შემოეტანათ. თურმე მარტო იმ წელს, როდესაც ჩაეწერნენ საზოგადოების წევრთა სიაში, შეეტანათ მხოლოდ ერთის წლის საწევრო ფული. მას შემდეგ არც ერთს ერთი გროშიც აღარ შეუტანია. ამ წევრთა სიაში მოხსენებულნი არიან საუკეთესო წარმომადგენელნი იქაურის თავად-აზნაურობისანი. ან რა არის აქ გასაკვირი? იმ წევრთ, რომელნიც ჩვენ აქ სახეში გვყავნან, ჯერ არ იციან, თუ რა არის „წერა-კითხვის საზოგადოება“, რა აზრი აქვს, რას აკეთებს, ვინ განაგებს და სხ. აბა, საწევრო ფული როგორ გაიმეტონ? იმათ ამ გვარ საქმისათვის ხარჯი ფულის დაკარგვად და წყალში გადაყრად მიაჩნიათ და რომ წყალში გადაყრა ფულისა კაცმა ითაკილოს, ეგ რა დასაძრახისია? ასეთი კაცნი, წუთიერის გატაცების ზედმოქმედებით, ანუ სახელის მოსახვეჭად-და ჩაწერილნი საზოგადოების სიაში, დიდს ქონებრივს ძალას ვერ შესძენენ წერა-კითხვის საზოგადოებას. ისინი ბევრ სხვა რამეში, იქნება, ფრიად საჭირო და გამოსადეგნი იყვნენ, მაგრამ ნაკლებად არიან გამოსადეგნი, როგორც წევრნი ასეთის საზოგადოებისანი. სულ სხვაა ამ გვარ საქმეებში ნამდვილი განათლებული ინტელიგენცია.

ჩვენი ინტელიგენციაც, შეძლებისადა გვარად, ემსახურება ჩვენს მწერლობასა და ჩვენის ერის სწავლა-განათლების საქმეს. მაგრამ არა ყოველი წევრი ჩვენის ინტელიგენციისა ასრულებს პირნათლად თავისს მოვალეობას სამშობლო ქვეყნისა და მწერლობის წინაშე. ბევრი ჩვენთაგანი მარტო სახელითა, დიპლომითა, რაღაც „ფარატინებითა“ ვართ მაღალ, საშუალ, ანუ დაბალ განათლებისანი, საქმით-კი ყოველ იმას, რაიცა უნდა შეადგენდეს „ატრიბუტს“ განათლებულისას, ხშირად მოკლებულნი გახლავართ... მეტი ნაწილი ჩვენთა განათლებულთა, მიაღწევს რა თავისს „აღთქმულს ქვეყანას“, ე. ი. აღიჭურვება თუ არა ზემოხსენებულის „ფარატინით“, მყისვე შედის სამსახურში და წინად მიღებულის წესითა და რიგით ასრულებს მოვალეობას ისე, რომ დაიმსახუროს უფროსთა ყურადღება. თავისუფალს დროს, სანამ ცოლს შეირთავდეს; ჩაცმა-დახურვასა და ქალების (ან, თუ ქალია, ვაჟების) დევნაში ატარებს. იმისის მტკიცე შეხედულობით „Sine Baccho et Cerere friget Venus“, და აი ამიტომაც დიდი თაყვანისმცემელია ბახუსისა, რომელსაც დღე ყოველ სწირავს დიდსა და დიდსა შესაწირავსა... საზოგადოებაში, უნდა რა ახალ მიმართულების კაცად დაისახოს თავი, ბევრ მაღალ საგნის შესახებ ჰლაპარაკობს და ლამაზ-ლამაზ სიტყვებს ამბობს, მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ რამე გააკეთოს, მხოლოდ-და ჰყვირის, ტყუილ-უბრალოდ ყბედობს და ბულვარს უსაქმოდ სტკეპნის. ცოლის შერთვის შემდეგ სამსახურს დაერთვის აუცილებელი ზრუნვა ოჯახობისა, თავისუფალი დრო იკარგება ბანქოსა თუ ლოტოს თამაშში, უბრალო ყბედობაში, რომ in vino veritas, და მებრვე სხვა ჭორიკანაობასა, „дрязг“-ებში, რომელთ მეოხებით სულ უბრალო მიზეზთა გამოც ძმა ძმას უთხრის ორმოს ერთი მეორის ჩასაგდებად, მაგრამ, სამწუხაროდ, შიგ ორივენი ცვივიან ხშირად.

ასე და ამ სახით მიდის ინტელიგენტთა უმრავლესობის ცხოვრება. ვინ არ იცის, რომ ჩამოთვლილი საგნები და ბევრი სხვა მსგავსი შეადგენს, სამწუხაროდ, ადამიანის ცხოვრების

---

ამ მწერლებს, რა ხაზინას მისდგომიან ჩვენს მთებში, რომ იქიდგან არა თუ თითონ აღარ იცვლიან ფეხს, პირიქით, ჩვენც თავიანთკენ გვიზიდავენ და გვეპატიჟებიან—მოდით, ნახეთ და დასტკბითო: აქ, ამ მაღალს მთებს, შეჰფარებია ის ჰკუა, რომელიც ქართველობამ ბარში დავკარგეთო და რომელსაც დღემდე ფუჭად დავეძებდითო.

მართალია, ანდაზა-კი ამბობს,—ბარში დაკარგულს ჰკუას მთაში უნდა ძებნაო, მაგრამ დღეს ჩვენი მთა, გარეგნობით მაინც, ისეთს საცოდავს ყოფაშია, რომ ერთის შეხედვით იქ თითქო საკუთარის ჰკუის ნატამალიც არ უნდა მოიპოვებოდეს, არა თუ ახლა ბარის ქართველთა ჰკუაც იქ შეხიზნულიყოს. მართლაც-და, რა არის ჩაუხედველ კაცისათვის ჩვენი მთა?—რაღაც უზარმაზარი და თვალაუწვდენელი შავი კლდეები, სადაც აქა-იქ მერცხლის ბუდეებსავით მიჰკვრია თითო-ოროლა ქოხმახი. ხშირად ბარის სოფლის პატარა უბანი სჯობნის კიდეც მთის საშუალო სოფელს, როგორც ადგილ-მდებარეობის სივრცით, ისე მცხოვრებელთა რაოდენობით. მერე ისიც რა ცხოვრება უნდა იყოს იმ მერცხლის ბუდეში, როდესაც თოვლისა და ზვავის გამო ბევრჯელ თთვეობით შესწყდება ხოლმე მისვლა-მოსვლა სოფლებ შორის! ახლა თვით მცხოვრებლებიც გასინჯეთ, ვინ არიან: ბრწყინვალე თავად-აზნაურობა?—სულაც არა, სანთლითაც ძლივს მოსძებნით თითო-ოროლას, რომელნიც ქარს თუ გადმოჰყოლიან შემთხვევით. სამსახურიდგან გამოსული დიდ-კაცობა და მოხელეობა?—თქვენც არ მოგიკვდეთ, იმათ აქეთკენ პირიც არ მოიბრუნონ, არა თუ აქ დასახლკარდნენ. უნივერსიტეტ-დამთავრებული ახალგაზდობა? საზოგადოდ, ნასწავლი ხალხი, ეგრედ წოდებული ინტელიგენცია?—არა, არა და არა. მცხოვრებნი გახლავან ერთობ საცოდავი, ღარიბ-ღატაკი მეცხვარე ხალხი, რომელიც ბეწვ-გადმობრუნებულ ტყაპუჭებშია გამოხვეული და რომელსაც, როცა-კი შევხვდებით სადმე, რასაკვირველია, გზაში, უეჭველად კბილები უნდა ვუკრიჭოთ, რადგან მათს დანახვაზედ სიცილის დაჭერას ვეღარ ვახერხებთ ხოლმე. ჩვენ ერთ ნაირად სასაცილოდ მიგვაჩნია მთის კაციცა და ქალიც. მერე თითქმის ერთ ნაირადაც იცმენ ის ვაგლახიშვილები და ცხოვრებაც ერთ ნაირი აქვთ. იქ კაცებიც მეცხვარეები არიან და ქალებიც. აი ესენი შეადგენენ მთის ხალხს, და აბა, თუ ღმერთი გწამთ, რა ჰკუის ვარჯიში და აღებ-მიცემობა გონების ნაწარმოებისა უნდა ჰქონდეთ გამართული ურთიერთ შორის ვიღაცა მეცხვარე ხინჩლას მეძროხე კვირიასთან ანუ ვიღაც ჯაჯალას ციკოსთან! ჯერ სახელებიც რომ არ უგავთ სახელებს! მთიელი საქმრო გასძახებს თავისს საპატარძლოს „ქალაუო“ და საპატარძლო კიდევ „ვაჟაუო“, ჰაჰა! მორჩა და გათავდა. აბა რა ჰკუის კოლოფად უნდა გარდაექცეს მთელს საქართველოს იმათი ან „ქალაუ“ და ან „ვაჟაუ“!

აკი ვამბობ, გარეგანის შეხედვით, ამის მეტს ვერას იტყოდა ჩვენი ბარის კაცი ვერც ფშაველის შესახებ, ვერც ხევსურისა და მთიულისა, ვერც თუშისა და სვანის შესახებ. ჩვენის აზრით, ეს ტყაპუჭიანი ხალხი სრულებით უნდა განადირებული ყოფილიყო და ამიტომ სათაკილოდაც უნდა მიგვჩნეოდა ამ ხალხის თავისიანობა, ქართველობა...

* *

მაგრამ—დახეთ ღვთის სამართალს, რომ სწორედ ეს ტყაპუჭიანი ხალხი შეუმკია გარემოებას იმ ღირსებით, რომლითაც ერთს დროს ჩვენი ქართველი კაცი სახელ-განთქმული ყოფილა ქვეყანაში და რომლისაც ეხლა აღარა გვაცხია-რა, თითქმის ნასახიცკი აღარ გვატყვია. მაშინ-როდესაც ბარის ხალხს დაგვიგდია მამა-პაპის გზა-კვალი, თვალ-დახუჭულები შევრეულვართ დაბურვილს ტყეში, თავბედისა აღარა გაგვეგება-რა და იქამდის მისულვართ, რომ ჰა, სული

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსს, რადგან გამოწვეულია ადამიანის ბუნების მოთხოვნილებით. მაგრამ მაგარიც და სავალალოც ის არის, რატომ ესე ყოველივე, ე. ი. ზრუნვა მხოლოდ „ხორცის“ ფუფუნებისათვის, გამხდარა ჩვენის ცხოვრების (თუ არა მხოლოობით) უმთავრესს და უპირველესს მოთხოვნილებად. ხოლო კითხვა წიგნისა, ეს განმაფაქიზებელი და განმასპეტაკებელი ადამიანის ზნეობისა, განმანათლებელი მისის გონებისა და მისი „ზეცად“ აღმამაღლებელი, თითქმის უარ გვიყვია. მართლაც, ჩვენში კითხვას ფეხ-მოკიდებული რომ ჰქონოდა, განა მწერლობა ასე კუს ნაბიჯით ივლიდა წინა? განა ჩვენს, ვსთქვათ, ერთად-ერთს გაზეთს ათასიოდე-ღა ხელის მომწერი ეყოლებოდა? ჩვენში ბევრსა ჰგონია, რომ კითხვა-კი სურთ ჩვენში, მაგრამ ვითომ სიღარიბე უშლით ხელს, გაზეთები დაიბარონ, ან წიგნები შეიძინონო. ეგ მოსაზრება, საზოგადოდ რომ ითქვას, ყოველს გვარს სინამდვილეს მოკლებულია. რასაკვირველია, სიმდიდრეც არის და სიმდიდრეც, მაგრამ არც ისე ღარიბნი ვართ, წლის გაზეთის ფასი გაგვიჭირდეს. თუ კი ბევრს კვირაში თითქმის თუმნის ღვინო შეუძლიან „დასდგას“, ანუ „ჩამოასხას“ თავის ჯანმრთელობის სავნებლად, აბა წელიწადში გაზეთის ფასად ათის მანეთის გამოღების სიძნელე რას მიქვიან? ოღონდ მოთხოვნილება და სურვილი იყოს, ოღონდ გული გულობდეს, თორემ ქადა ორისავე ხელით იჭმევა. არა, ბატონო, ჩვენში თამბაქოზედ რაც ფული მიდის, იმის ნახევარიც არის რომ იხარჯებოდეს წიგნებისა და გაზეთებისათვის, ჩვენის მწერლობის საქმე უკეთ წავიდოდა.

მართლაც, ჩვენში ყველა განათლებულთა რიცხვის მეოთხედიც რომ ერიოს ნამდვილად მკითხველ საზოგადოებაში, ჩვენის მწერლობის ბედს ძაღლიც არ დაჰყეფდა. უკეთ დაჯილდოებული შრომა მწერალთა, რაღა თქმა უნდა, უკეთესს ნაყოფს გამოიღებდა. თუ ერთი გაზეთი, ან ჟურნალი არ მოეწონებოდა მკითხველთა უმრავლესობას, რა დაუშლიდა მეორისა და მესამის დაარსებას? ეხლა? ეხლა, როცა თითქმის გროში ვერ აუღია მწერალს გასამრჯელოში, რა ჰქმნან იმათ და ჩვენც, მკითხველებს, რა უფლება გვაქვს ვუსაყვედუროთ, უკეთესი ნაღვაწი მოგვაწოდეთო?

როგორ უნდა ეშველოს ამ საქმეს, რა მალამო უნდა დაედოს ამ წყლულს, ანუ როგორ უნდა დაიბადოს ჩვენში რიცხვით მრავალი მკითხველი საზოგადოება, რომელიც თავისის მხრით მწერლობასაც განაკარგებს? აი საკითხავი, რომელსაც ღირს კაცი ღრმად ჩაუფიქრდეს. ამის პასუხად სასიამოვნოდ მივიჩნევდით გვეთქვა: ეგ საუბარი შემდეგისათვის გადაგვიდვიაო, მაგრამ იმ დაპირებულს საუბარში ბევრს იმისთანა საგანს უნდა შევეხებოდით, რომელთ გამო წერა სხვა-და-სხვა მიზეზით შეუძლებელია. ამიტომ უმჯობესია აქვე მოვიხსენიოთ ორიოდე სიტყვა მოჭრით და ენა-კვნეტით. ყოველს ჩვენს განათლებულს მუდამ ჟამს უნდა ახსოვდეს, რომ ჩვენ ვართ ქართველები. ეს ერთი. მეორე: მოწყეტილებისა და ჩათრეულების წევრთა გამოკიდების მაგიერ, უკეთესია და უნაყოფიერესი, მოზარდს, ახალს თაობას ვაძლიოთ ყოველ გვარი ღონისძიება, რომ აღიზარდოს ჩვენის მწერლობის სიყვარულში. მხოლოდ ის, ვინც სკოლის სკამზედვე აღზრდილა ჩვენის ლიტერატურის ზედ-მოქმედებით, მხოლოდ ის იქნება შემდეგ მუდმივი და ერთგული მკითხველი ჩვენის მწერლობისა: რაც სიყრმეშივე გრძნობით გულში ჩაინერგება, მისი აღმოფხვრა მეტად ძნელია. მესამე: საჭიროა თითონ მწერლობამაც თავისის თავის განკარგებით მეტი ყურადღება მიიქციოს ყველა განათლებულთა და განსაკუთრებით ურწმუნო თომათა. ერთის სიტყვით, საჭიროა ყოველ განათლებულის მხრივ სამშობლო მწერლობისა და სიტყვიერების საასაღორძინებლად ყოველ მხრივი ცდა, ცდა და კიდევ ცდა.

პ. გ-ე

## რუსეთი

როგორც ადრეც გვქონდა მოხსენებული, რუსეთის შაქრის მექარხნეები სცდილობდნენ, როგორმე თავისს სასარგებლოდ განეწესიერებინათ წარმოება და მთავრობასა სთხოვდნენ საქმეში ჩარევას,--თქვენ დაგვინიშნეთ, რომელმა ქარხანამ რამდენზედ მეტი შაქარი არ უნდა გააკეთოს წელიწადშიო. როგორც გაზეთები იუწყებიან, მთავრობას ისე მავნებელად უცვნია ეს საქმე, რომ განხილვითაც არ განუხილავს თხოვნა შაქრის მექარხნეებისა. თებერვლის დამლევს კრება მოხდა კიევში ხსენებულ მექარხნეებისა და იქ სულ სხვა ნაირად დაიწყეს ლაპარაკი: ჩვენ მაგ გვარი თხოვნა არა წარმოგვიდგენია-რა მთავრობისათვისაო. ამას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს-რა, ტყუილს ამბობდნენ კრების დროს, თუ მართალსა. საყურადღებო ის ამბავია, რომ შეზღუდვა შაქრის წარმოებისა მთავრობის მიერ არ მოხდა და არც მოხდება, როგორც კრების თავმჯდომარემაც განაცხადა, და სარგებლობას რამდენისამე მექარხნისას მომხმარებელთა, ხალხის სარგებლობამ აჯობა.

ამით გულის დამშვიდება მაინც არ შეიძლება. თუ მთავრობამ არ მოუხერხა მექარხნეებს მათ მიერ განზრახული საქმე, შეიძლება და მოსალოდნელია, რომ თითონ თავისით მოიხერხებენ საქმეს. ხომ ეხლაც, ამ ჟამადაც $^2/_3$ მექარხნეებისა პირობა შეკრულნი და გაფიცულნი არიან შაქრის წარმოების რაოდენობისა და ფასის თაობაზედ. მოსალოდნელია, რომ სხვა მექარხნეებიც მიემხრობიან ამათ.

ასეთი განსაცდელი დიდი ხანია არსებობს და შემდეგში უფრო გაძლიერდება, რადგანაც საზოგადო პირობანი რუსეთის მრეწველობისა და კერძოდ შაქრის წარმოებისა ხელს უწყობს ამ გარემოებას. მფარველობას მრეწველობისას ყოველთვის ასეთი შედეგი მოსდევს. საზღვარ-გარეთიდგან შემოტანილს საქონელზედ რომ ხარჯს აწესებენ, ამ ღონისძიებით მართლა დროებით გაძლიერდება ხოლმე შინაური წარმოება, მაგრამ უეცრად კრიზისიჩ ამოვარდება, მწარმოებლები გაჭირვებაში სცვივიან და აი სწორედ მაშინ მიჰყოფენ ხოლმე ხელს გაფიცვასა და პირობის შეკრას, ბაზარში საქონელი ნაკლებად გააქვთ, რომ ფასი ასწიონ, ხოლო მომეტებულს ნაწარმოებს საზღვარ-გარედ ეზიდებიან და იქ უფრო ნაკლებ ფასადა ჰყიდიან, ვიდრე თავიანთს ქვეყანაში. ამ სახით, ინგლისელები რუსებზედ იაფად ჰყიდულობენ რუსულს შაქარსა და ისიც თავიანთს ქვეყანაში.

პირობის შემკვრელნი მექარხნენი იმითი იმართლებენ თავს, რომ მხოლოდ ამ ღონისძიებით შეგვიძლიან კრიზისი ავიცილოთ თავიდგანაო., ე. ი. რომ არც რამდენიმე ქარხანა დაიკეტოს და არც მუშა ხალხს დააკლდეს საშოვარიო. ამ გვარად მექარხნეებს ჰსურთ თავიანთი სარგებლობა სხვის სარგებლობადაც დასახონ, მაგრამ იმას რა ჩიჩინი უნდა, რომ თუ ბევრი შაქარი გააკეთეს, მომეტებულს საზღვარ-გარედ გაასაღებენ და რუსეთში-კი ფასს არ დასწევენ. სად რამდენიმე მექარხნე და იმათი მუშა და სად ასობით მომხმარებელი ხალხი?

მგონი სწორედ ამიტომაც განუზრახავს მთავრობას, როგორც ამბობენ, საზღვარ-გარეთიდგან შაქრის შემოტანის ნება მისცეს და მეტოქეობა გაუწიოს რუსეთის მექარხნეებს.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** ეხლა-ხან მოხსენებული გვქონდა ჩვენს გაზეთში, რომ საფრანგეთის სენატი შეუდგა განხილვას საფრანგეთის უმაღლესს სასწავლებლებში შემოსაღებ ცვლილებათა კანონ-პროექტისასაო. ეხლა შეგვიძლიან უფრო დაწვრილებით ვაუწყოთ მკითხველებს, თუ რა და რა ცვლილება აქვს განზრახული ხსენებულს კანონ-პროექტს.

ამ ჟამად საფრანგეთში, სწორედ რომ სთქვას კაცმა, უნივერსიტეტები, ე. ი. ფაკულტეტებ-შეერთებული უმაღლესი სასწავლებელი აღარ არის, ხოლო იყო წარსულს საუკუნეში, მაგალითად, უნივერსიტეტი პარიჟისა, მონპელიესი, ტულუზასი, და სახელ-განთქმული უნივერსიტეტებიც იყო. სხვა სახელმწიფოებში უნივერსიტეტები ამ უნივერსიტეტების მიხედვითა და მიბაძვით დაარსეს. 1806 წელს ნაპოლეონმა შესცვალა წესწყობილება საფრანგეთის უნივერსიტეტთა. საიმპერიო უნივერსიტეტი ანუ უნივერსიტეტი საფრანგეთისა ეწოდა უმაღლესს საადმინისტრაციო დაწესებულებას, რომელსაც მიენდო ხელმძღვანელობა სხვა-და-სხვა სასწავლებელთა, ხოლო უნივერსიტეტების მაგიერ დარჩა ცალკე ფაკულტეტები, რომელთაც ერთ-ერთმანეთთან არავითარი კავშირი და ურთიერთობა აღარ შერჩათ. გამგეობა ფაკულტეტთა დაეკისრა ეგრედ წოდებულს „აკადემიებს“, რომლის რექტორებსაც მინისტრი დაჰნიშნავს ხოლმე. ყოველს ფაკულტეტს თავისი დეკანი ჰყავს და ამ დეკანთანა აქვს საქმე რექტორს ფაკულტეტებისას.

ეს ნაპოლეონის მიერ შემოღებული წეს-წყობილება დღემდე დარჩა და არა-სასურველი ნაყოფიც გამოიღო. მართალია, ამ წეს-წყობილებამ ვერ დახშო მეცნიერება საფრანგეთისა, მაინც მრავალი სახელოვანი სწავლული გამოუვიდა საფრანგეთს, ბევრი ფაკულტეტიც სხვა დაარსდა საფრანგეთის ქალაქებში, მაგრამ ცუდი შედეგი ხსენებულის წეს-წყობილებისა ის არის, რომ ყოველი ფაკულტეტი და სასწავლებელი განცალკევებულია სხვებისაგან და თავის საგნად მხოლოდ სპეციალისტების მომზადება აქვს დასახული.

ასეთმა თითქმის უკიდურესობამდე მისულმა განცალკევებამ დაარწმუნა საფრანგეთის წარმომადგენელნი, რომ უმაღლესს სასწავლებლებში ცვლილებათა შემოღება აუცილებლად საჭიროაო, და აი, ათს წელიწადზედ მეტი იქნება, რაც ამ ცვლილებათა მოსახდენად ემზადება საფრანგეთი. ამ ჟამად ბურჟუას მიერ წარდგენილმა კანონ-პროექტმა უნდა დაამთავროს ეს საქმე. ხსენებულის პროექტის ძალით, უნდა დაარსდეს ფაკულტეტებ-შეერთებული უნივერსიტეტები იმ ქალაქებში, სადაც ოთხზედ ნაკლები ფაკულტეტი არ არსებობს ამ ჟამად, მაგალითად, პარიჟში, ლიონში, ტულუზაში და სხვაგან. როცა კამათი დაიწყეს სენატში, საწინაალმდეგოდ ამ კანონ-პროექტისა ის დაასახელეს, რომ ეხლანდელი თითო-ფაკულტეტიანი სასწავლებლები სხვა-და-სხვა ქალაქისა დაიღუპება, თუ ფაკულტეტებ-შეერთებული უნივერსიტეტები დავაარსეთო. მაგრამ ეს აზრი შესაწყნარებელი არ არის, თუ მხედველობაში ვიქონიებთ, რომ „კანონ-პროექტი“ არ აუქმებს თითო-ფაკულტეტიანს სასწავლებლებს, არამედ ურჩევს კიდეც ყოველ გვარს დახმარებას მათდა გასაძლიერებლადა. ეს ხომ ასეა, მაგრამ თვით ახლა იმას უნდა მიექცეს ყურადღება, თუ რა სიკეთის მოტანა შეუძლიან თავისით განზრახულს ცვლილებას. ჯერ ერთი, რაკი რამდენიმე ფაკულტეტი შეერთდება და ისე დაიწყებს მოღვაწეობას, მეცნიერება უფრო ადვილად გავრცელდება და, მეორეც, სასწავლებელს ხარჯიც ნაკლები დასჭირდება: რამდენსამე ფაკულტეტს შეეძლება საერთოდ უფრო მდიდარი და უფრო უკეთესად მოწყობილი კაბინეტი, ბიბლიოთეკა და სხვანი იქონიოს.

**სერბია.** სკუპშჩინამ დაამთავრა თავისი კამათი მილანის განცხადების შესახებ და შეიწყნარა კანონ-პროექტი, რომლის ძალითაც მილანს ჩამოერთვა ყოველივე უფლება სერბიის ქვეშევრდომობისა. სერბიის შინაგან საქმეთა მინისტრმა სთქვა სკუპშჩინაში: „ეს კანონი ამთავრებს მილანის ბატონობის დამარხვასა. აბა მაშ რაც შეიძლება, უფრო მაგარი და მკვიდრი მატური დავადგათ, რომ ყოვლად

---

კბილით ძლივს-ღა გვიჭირავს, როდესაც ჩვენში ძვირად-ღა მოიპოვება ნამდვილი ვაჟკაცობა, რომელიც მზაა გასწიროს თავი სახელისა და ქვეყნის დიდებისათვის; როდესაც ურთიერთობისა, მეგობრობისა მარტო სახელები-ღა დაგვრჩენია მეხსიერებაში; როდესაც ძმა ძმის მტრად გარდაქმნილა, შვილს აღარა ესმის-რა მამისა და სიყვარულს აჰკვიატებია გარყვნილობის იერი; ერთის სიტყვით, ისე უბადრუკად დავწვრილმანებულვართ, რომ მიკროსკოპით თუ გაგვარჩევს-ღა ვინმე,—ჰო, სწორედ ამ დროს ჩვენა ვხედავთ, რომ იქ, იმ მერცხლის ბუდეებში, იმ „ქალაუ-ვაჟაეუბში“ კიდევ ჰღვივის ნაფერფლებში გახვეული ცეცხლი ჩვენის წარსულის ცხოვრებისა, სწორედ იქ შეხიზნულა ის, რაც ერთხელ ყოფილა ჩვენი დიდება და ქადილი, ე. ი. ქართველობის ნამდვილი სული, მისი გაუტეხელი გული, იმის აზრი და იმისი სატრფიალო რაინდობა.

დღეს ბარში ღრმად-მოხუცები-ღა გაიხსენებენ ხოლმე, რომ უწინ სრულებით სხვა ხასიათისა და სხვა ზნეობისა ყოფილა ქართველი კაცი და ბევრით მაღლა მდგარა ზნეობრივად დღევანდელზეო. გეტყვიან, მაგალითად, რომ ქართველს კაცს პირი გაუტყდაო, არა თუ საკუთარს სიტყვას გადადიან, თავიანთის ხელით დაწერილს ბარათებსა და თამასუქებსაც-კი უარსა ჰყოფენო. უწინდელი დრო სულ სხვა ყოფილაო. უწინ თამასუქის მაგიერ ქართველი კაცი ერთს ბეწვს გამოიგლეჯდა ულვაშიდგან და მეტი თავდები აღარ იყო საჭირო—ასეთი მოვალე ველარ გიმტყუნებდაო. ეს და სხვა ამ გვარი ზღაპრად გადმოსული ამბავი მარტო ბარის ქართველს თუ გააკვირვებს, რადგან ბარის კაცი, ულვაშის ბეწვს-კი არა, მგონი მთლიანად ორსავ ულვაშს გაგაგლეჯინებს და წვერსაც მიგაყოლებინებს, ოღონდ-კი საბუთი გაიჩინოს ჩივილისა, რომ ერთი სამიოდე მანეთი ჯარიმა გადაგახდევინოს სამართლით თავისს სასარგებლოდ,—თორემ მთაში ულვაშის ბეწვით თურმე შორს ვერავინ წავა. იქ ულვაშის გამოძრობაც-კი მეტი ხარჯი ყოფილა. იქ თურმე დღესაც საკმარისია, რომ ტყაპუჭიანმა ხინჩლამ ერთი-კი დათქვას სიტყვა და მეტი ნურა გინდა-რა: მოკვდება და თავის პირიდგან ამოშვებულს სიტყვას-კი ველარ გადუვა არა თუ მარტო ფულის აღებ-მიცემობაში, არამედ ყოველ სხვა მრავალფეროვან ურთიერთობაში, რასაც-კი მოითხოვს ამ წუთი-სოფლის ცხოვრება და ავ-კარგიანობა.

ასეთია თურმე ჩვენი მთის ხალხი და როდესაც მის გულში კარგად ჩაიხედავ და იქიდგან მოგეფინება საამური შუქი ზნეობრივის სიმტკიცე-სიფაქიზისა, მხოლოდ მაშინ მიჰხვდები, რითიც უსულდგმულნია ჩვენს ერთი მუჭა ერს ოც-და-ათის და ორმოცის საუკუნის ვრცელს მანძილზედ, რითი შეუნახავს თავი, მშობლიური მთა და ბარი, მაშინ დაინახავ, რა ძვირფასი თვალ-მარგალიტი გადუგდია დავიწყების ზღვაში ქართველობას ამ უკანასკნელს დროს და რას უნდა გამოეკიდოს დაუყოვნებლივ, რას უნდა მიჰმართოს, რომ კვლავ დაიბრუნოს ის თილისმიანი კვერთხი, რომელიც გაანგრევს თვით კლდეებს და რომელსაც ველარ შეაფერხებს ვერც აღშფოთებულ-აზვირთებული ზღვა და ვერც თვალ-მიუწვდენელი მინდორ-ტყეები. მთა ყოფილა დღეს ჩვენი გზა-მაჩვენებელი ვარსკვლავი, და მიზეზიც აბა აქ უნდა ეძებოთ, რომ ასეთის გულის ძგერით, ასეთის ყურადღებით ვუსმენთ ალექსანდრე ყაზბეგს, როდესაც იგი მოგვითხრობს ამბავს არა რომელისამე დიდის გვამისას, რომელსაც მოუზნექია წელი აპელატებისა და ჯვარ-მენდლის სიმძიმისაგან, არამედ ვიღაც ელგუჯა-მათიასას, მზალო-ელისოსას, იაგო-კობასას, რომელთაც ანბანიც-კი არა სცოდნიათ, მაგრამ მაინც გული-კი შიგნითა ჰქონიათ და ნამდვილი ვაჟკაცებიცა ყოფილან ჩვენს გალაჩრებულს დროში.

სტ. ჭრელაშვილი

შეუძლებელი გახდეს მილანის საპოლიტიკო აღდგენაო". საზოგადოდ ორის დღის განმავლობაში ბევრი რამ დასაძრახისი და გასაკიცხი ითქვა მილანის შესახებ. ნაპრედნიაკები სცდილობდნენ ძალ-მომრეობად დაესახათ ხსენებული კანონ-პროექტი, მაგრამ რადიკალები ძლიერ გაცხარებული ჰკიცხავდნენ მილანს. გაიხსენეს მილანის მიერ როდისღაც ნათქვამი სიტყვები: „მე ის მირჩევნია, პარიჟის ჟოკეი-კლუბის წევრი ვიყო, ვიდრე მეფე სერბიისაო", და ამის გამო ამბობდნენ, სერბიის ერმაც თავის მხრივ უნდა დაუმტკიცოს მილანს თავისი ზიზღი და ძულებაო. ერთმა წევრმა კომისიისამ (მომხსენებელმა) სთქვა, მილანის განცხადება სხვა არაფერია, გარდა იმისა, რომ გვეპატიჟება—მოდით, ჩემს დასაფლავებას დაესწარითო. საზოგადოდ ასეთი არა ჩვეულებრივი კამათი სკუპშჩინისა სწორედ შესაფერი იყო იმ ამბისა, რა ამბითაც აიხადა მილანმა ყოველივე თავისი უფლება. ერთის კორესპონდენტის სიტყვით, ამ ჟამად ახლა იმის შესახებ უნდა დაიწყონ სჯა, მილანის მსგავსად უნდა მოექცნენ დედოფალს ნატალიასაც, თუ არაო. კორესპონდენტის აზრით, რადიკალები წინააღმდეგობას არ გაუწევენ ამას, მაგრამ დედოფალმა ნატალიამ უკვე გამოაცხადა პროტესტი ამის წინააღმდეგ. დედოფალი აცხადებს, მე განქორწინებული მეუღლე ვარ მილანისა, იმისი საქმე მე აღარ შემეხება, დედა ვარ მეფისა და არა მსურს სერბიის ქვეშევრდომობაზედ უარი ვსთქვაო („Рус. Вѣд.").

## წვრილი ამბავი

ამას წინად ლიონში შემდეგი ასირებული ამბავი მოხდა. ერთს იეზუიტთა სასწავლებლის უფროსს მეცადგან ფოსტით პაწია ყუთი მოუვიდა. გარს შემოხვეულ ტილოს შემოხსნის დროს ამ კაცმა რაღაც საეჭვო ლითონის ყუთი დაინახა. შეშინდა, იფიქრა თურმე, რომ ეს „ჯოჯოხეთის" ასაფეთქებელი მანქანააო, და პოლიციაში წაიღო. პოლიციამ სასამართლოს აცნობა. ბრალმდებლის ამხანაგმა ბრძანება გასცა, რომ თოფხანაში წაიღეთო, სადაც დიდის სიფრთხილითა და გულის კანკალით ნელ-ნელა გახსნეს. წარმოიდგინეთ, თვით ღიმილ-მოუკარებელს მოსამართლეებსაც-კი სიცილი წასქდათ თურმე, როდესაც ჰნახეს, რომ ლითონის ყუთში ვერცხლის ფული იყო სულ 25 მანეთისა და პაწია წერილი. წერილში ეწერა, რომ ამ ფულს უცნობი სასწავლებელსა სწირავს და ყუთი იმიტომ არის ასე მაგრად შეკრულ-შებოჭილი, რომ გერმანიის ფოსტის მოხელეების ცნობის-მოყვარეობას თავი დააღწიოს როგორმეო.

— დიდმა ჰერცოგმა საქსენ-კობურგ-გოტისამ ეს არის დააკანონა, რომ ორ თუმნამდე ფული გადასდება ჯარიმად ყველა იმ მშობელს, რომელიც თავისს ვაჟიშვილს, 17 წლისაზედ პატარას, და ქალიშვილს, 15 წლისაზედ მცირეს, ბალში წაიყვანსო.

— ავსტრიის იმპერატორმა, საერო განათლების მინისტრის მოხსენების თანახმად, ვერცხლის ჯვარით დააჯილდოვა ასოთ-ამწყობი იოსელ ებნერი ორმოც-დათორმეტის წლის განმავლობაში ასოთ-ამწყობის თანამდებობის ასრულებისათვის.

— პრინც კობურგელს ლვოვის უნივერსიტეტის პროფესორის კალინისათვის დიდი ბოლგარული მედალი „pro literis et artibus"-ი უწყალობებია ბოლგარიის ენის გამოკვლევისათვის.

— ბერლინში დაიწყეს ბეჭდვა ახალის გერმანულის ჟურნალისა, რომელსაც ეწოდება „საუკუნეს სირცხვილი" („Scehmach des Jahrhundersts"-ი). ეს ჟურნალი განსაკუთრებით იმიტომ არის დაარსებული, რომ ებრაელების მომძულეთ და მდევნელთ ებრძოლოს და გაუმკლავდეს.

— რა გგონიათ, რადა აქვს თებერვალს 28 დღე? აი რადა: იულიუს ცეზარის დროს კალენდარი შეასწორეს და დღეები ასე და ამ გვარად იყო განაწილებული თთვეთა შორის: იანვარსა ჰქონდა 31 დღე, თებერვალს—29, მარტს—31, აპრილს—30, მაისს—31, ივნისს—30, ივლისს—31, აგვისტოს—30, სექტემბერს—31, ოქტომბერს—30, ნოემბერს—31 და დეკემბერს—30. წლის მეშვიდე თთვეს იულიუსის პატივსაცემლად ივლისი უწოდეს. როცა ბრძანებლობა ავგუსტმა დაიწყო, იმანაც მოინდომა ასეთი პატივი და ამიტომ მერვე თთვეს აგვისტო უწოდეს. ეს კარგი, მაგრამ აგვისტოს 30 დღე რომ ჰქონდა, ივლისზედ ერთის დღით ნაკლები, რა უნდა მოეხერხებინათ? ის მოახერხეს, რომ, იმპერატორის ბრძანებით, თებერვალს ერთი დღე წაართვეს და აგვისტოს მიუმატეს. ამიტომაც შეიცვალა თთვეთა შორის დღეების თანაზრობა.

## დეპეშა

16 მარტი

**ვარშავა.** გარდაიცვალა გრაფინია სალიასი, ცნობილი ლიტერატურაში პსევდონიმით „ევგენია ტურ".

**პარიჟი.** გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ „კლიტი"-ს ქუჩაზედ აფეთქება მოუხდენიათ ოთხ-კუთხიანის კოლოფით, რომელიც გატენილი ყოფილა 3—5 კილოგრამის დინამიტით. არც ერთი ნატეხი ამ ყუმბარისა არ უპოვნიათ. პოლიცია ჰფიქრობს, რომ აფეთქება რავაშოლს უნდა მოეხდინოსო. დაჭრილი კაცი ხუთი აღმოჩნდა. განიზრახეს აგრეთვე, აეფეთქებინათ ჟანდარმთა ყაზარმაც ივრში, პარიჟის მახლობლად.

ბელნავილლის წმ. იოსების ეკკლესიაში ჩხუბი მოხდა, რადგან იქ სოციალიზმის წინააღმდეგ მოძღვრებასა კითხულობდნენ. რამდენიმე კაცი დაიჭრა.

**ვენა.** წუხელ პრაგასა და ჩეხიის სხვა ქალაქებში წინასწარვე დაიწყეს დღესასწაულობა კამენსკის დღევანდელის იუბილეისა. ყველგან ჩირაღდანი გაიმართა. მთებზედ ცეცხლები იყო გაჩაღებული.

**ბერლინი.** საპარლამენტო წრეებში დღეს ლაპარაკობდნენ, რომ მინისტრი ბიტტიხერი დასტოვებს თავისს ალაგს სამინისტროსა და საიმპერიო შინაგან საქმეთა უწყებაშიო და დაინიშნება ობერ-პრეზიდენტად ჰესსენ-ნასსაუს პროვინციისაო. მინისტრ-პრეზიდენტად მიკელს ასახელებენ.

პრუსიის სეიმის დეპუტატთა პალატის კრების დროს მინისტრ-პრეზიდენტმა გრაფმა ეილენბურგმა განაცხადა, რადგან ყველანი ოპოზიციას უწევენ საერო სასწავლებელთა შესახებს კანონ-პროექტს, ამიტომ მთავრობა აღარ განიხილავს იმას და უფლება-კი ექმნება შემდეგში კვლავ დაუბრუნდეს ამ საგანსაო.

17 მარტი

**ვენა.** სტარომესტის ოლქში სიმშილისა გამო სახადი გაჩნდა; დაბა ბლოზვაში 100-ზე მეტი მძიმე ავადმყოფია.

**შანჰაი.** უკანასკნელ აჯანყების დროს მონგოლიაში 800 აჯანყებულს თავი მოჰკვეთეს და 500 კაციც ცეცხლში დასწვეს. ჩინეთის მთავრობა ამბობს, ჩვენის ჯარიდგან 5 კაცი მოკვდა და 45 დაიჭირაო.

**პარიჟი.** როდესაც დინამიტით აფეთქებული სახლი გადათხარეს ფოლადისა და საფანტის ნატეხები იპოვნეს. დამნაშავე ვერ აღმოაჩინეს.

მრევლის მღვდლებს მიუწერენ, რომ გარდა ღვთის-მსახურებისა, სხვა საგნების შესახებ არ ესაუბრონ მრევლსა.

პალატამ უკამათოდ შეიწყნარა კანონ-პროექტი, რომლის ძალითაც ამფეთქებელნი სიკვდილით უნდა დაისაჯნენ ხოლმე.

პეტერბურგის ბირჟა, 13 მარტი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,92 | 7,94 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . | $158\frac{1}{4}$ | 159 | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | 1,15 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | 238 | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | $221\frac{1}{2}$ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | 200 | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5% . . . . . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | — „ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

### პეტერბურგის ბირჟის უწყება

10 მარტს

გირაოს ფურცელნი:

| ტფილისის თავად-აზნაურთა ბანკისა: | მყიდველი. | გამყიდველი. | გაიყიდა. |
|---|---|---|---|
| 6% . . . . . . | 102 | — | — |
| 5% . . . . . . | $99\frac{1}{2}$ | — | $99\frac{5}{8}$ |
| ქუთაისისა: | | | |
| 6% . . . . . . | 102 | — | — |
| 5% . . . . . . | $99\frac{1}{2}$ | — | — |
| ტფილისის საკრედიტო საზოგადოებისა. . . . . | | | |
| 5% . . . . . . | $98\frac{1}{4}$ | $98\frac{3}{4}$ | — |

### გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ორშაბათობით, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პარასკეობით, დილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის კერჩსა და ნოვოროსიისკზე. კვირაობით დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, განთიადისას.

ფოთიდგან გადის:

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობითისაქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

„ . . . , . „ . 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუაღ.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუაღღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

### ნ ი ხ რ ი

1892 წ. 4 მარტიდგან ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. „ კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ. „ „ „
„ „ 2
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ „ „
„ „ „ 2 „ „ „
„ „ „ 3 „ „ „

ჯვარის მამის პურის ლავაში.

1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. კ.
მე-2 „ „ „ „ „
მე-3 „ „ „ „ „
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 8 „
„ „ 2 „ „
სუკი — — — 14 „
ცხვრის ხორცი — — 9 „
ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. 1 გ. 7 „
მე-2 ხარ. ტყავიანად 6 „


## განცხადებანი

წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების

**წიგნის მაღაზიაში**

იყიდება შემდეგი წიგნები რუსულს ენაზედ:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| Грамоты и другіе историческіе документы XVIII столѣтія, относящіеся къ Грузіи, т. I, подъ редакціей А. Цагарели . . . | 3 | „ |
| Сношенія Россіи съ Кавказомъ, выпускъ I, С. Бѣлокурова . . . . . . . | 3 | „ |
| Матеріалы для русской исторіи его-же (საქართველოსაც შეეხება) . . . . . | 3 | „ |
| Іерархія всероссійской церкви . . . . . . . | „ | 2 |
| Свѣдѣнія о памятникахъ грузинской письменности, А. Цагарели . . . . . | „ | 60 |
| О грамматической литературѣ грузинскаго языка, его же . . . . . . . . | „ | 60 |
| Грузинскія народныя сказки и игры, собр. Бебуръ Б. | „ | 60 |

(10—0—2)

ემელგან!!!

სახონი ოლეო-ვაზელინი

როიალ-კონგო!

ახალი ამბავი!!!

სურნელოვანი წყლები

FIN DE SIÈCLE

და სხვა საპარფიუმერო და საკოსმეტიკო საქონელი

ფაბრიკისა

„ვიქტორია რეგინასი"

ე. ბოდლო და ამხ.

მოსკოვში.

(10—10)

### სიმრთელის კიდობანი

ოჯახში საკითხ-სახმარებელი სამკურნალო წიგნი, შედგენილი ილია სულაქველიძისაგან და განხილული პეტერბურგში მკურნალთა რჩევაში, თითო წიგნი 1 მანეთად ისყიდება:

ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების" მაღაზიაში, გორში—არსენ კალანდაძისაში, ქუთაისში—ძმათა ჭილაძეთა და წერეთლისაში, ბათუმში—ნიკოლაძისაში და ფოთში—ძმათა ნოდიათა წიგნის მაღაზიაში, ბექათუბანში—ანდრია შათვათავასთან; ყვირილაში—იორდანე ცერცვაძესთან; სამტრედიაში—კონსტანტინე გაჩეჩილთან; ნაგომარში—ა. კილურაძესთან; ფოთში—ავტორთან.

ვინც იყიდის 20 ცალს ნაღდს ფულზე, თითო ცალი 80 კ. დაეთმობა.

(8—6)

## გამოვიდა და ისყიდება

სამეურნეო საზოგადოებასა და ზაქ. პეტრეს ძეს გრიქუროვთან **არჩილ დარეჯანაშვილის** მიერ შედგენილი წიგნები:

ა) ხეხილების დარგვა და მისი მოვლა, 15 სურათით, ფასი აბაზი.

ბ) Краткое наставленіе о размноженіи плодовыхъ деревъ и кустарниковъ съ 15 рисунками.

ფასი აბაზი.

(10—1)


Дозв. ценз. Тифлисъ, 17-го Марта 1892 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.